დასკვნა

აუდიტორული მომსახურეობის შესახებ

ავტორიზებული პირის შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობის (სდასუ-TV და სდასუ- RADIO)" დაფინანსების წყაროების შესახებ

დამკვეთი : „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი":

დასკვნის თარიღი: 2026 წლის 24 აპრილი

საფუძველი: 2026 წლის 17 აპრილის ხელშეკრულება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
მოსაზრება	3
მოსაზრების საფუძველი	3
მოსაზრების ძირითადი საკითხები	4
ხელმძღვანელობის პასიხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშთან დაკავშირებით	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტთან დაკავშირებით	5
ფინანსური ანგარიში დაფინანსების წყაროს, ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების შესახებ	6
ახსნა-განმარტებები ფინანსური ანგარიშის შესახებ	7

დასკვნა აუდიტორული მომსახურეობის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ მენეჯმენტს

დასკვნა ავტორიზებული პირის „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობის (“სდასუ-TV”-სა და “სდასუ-RADIO“)-ს დაფინანსების წყაროების შესახებ

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ 2025 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული ბალანსის შემადგენელი ერთეულის საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობის (“სდასუ-TV”-სა და “სდასუ-RADIO“-ს) მომსახურების აუდიტი დაფინანსების წყაროების შესახებ, რომელიც შედგება აღნიშნული თარიღით დასრულებული მიღებული დაფინანსების წყაროების, წყაროების შესაბამისად გაწეული დანახარჯების და ანგარიშზე თანდართული ფინანსური ახსნა-განმარტებების, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან

ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ ერთეულს და არის უნივერსიტეტის შემადგენელი ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული, ბუღალტრულ აღრიცხვას არ აწარმოებს ცალკე პროექტად. ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ინფორმაცია (დაფინანსების წყაროები, ხარჯთაღრიცხვა, დანახარჯების ანგარიში), რომელიც შეადგენს უნივერსიტეტის ბალანსის შემადგენელ ერთეულს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საქართველოს ტელეკომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 20 აპრილის № 5 დადგენილების მოთხოვნის შესაბამისად, დადგენილებაში შესული ცვლილებების, ასევე მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების 805 შესაბამისად. ამ სტანდარტით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე”- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ „სდასუს“გან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტს; გარდა ამისა, ასევე შევასრულეთ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშის აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშის შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

დასკვნა გამოგვაქვს იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშის მომზადებას საფუძვლად დაედო საზოგადოების ზემოთ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობა, ხოლო მოპოვებული აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე იმ მოვლენებთან/პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სდასუს სტრუქტურული ერთეულის საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობის ("სდასუ-TV"-სა და "სდასუ-RADIO"-ს) ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში გამახვილოთ ყურადღება ფინანსური ანგარიშის შესაბამის ახსნა-განმარტებებზე, ან თუ ამგვარი ახსნა-განმარტებები ადეკვატური არ არის , მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

აუდიტი დაიგეგმა და განხორციელდა „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტსა" და შპს ,,აუდიტი XXI" შორის, 2026 წლის 17 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ავტორიზებული პირის „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობის ("სდასუ-TV"-სა და "სდასუ-RADIO"-ს) დაფინანსების წყაროების შესაბამისი ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების შესახებ ფინანსური ანგარიშის შემოწმების მიზნით აუდიტორული მომსახურების გაწევას,

აუდიტის ჩატარებისას ვხელმძღვანელობდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული პროცედურებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების

თანახმად. ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვართ დამოუკიდებლები საზოგადოებისაგან, არ გაგვაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვით, მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „აუდიტი XXI“ გარიგების პარტნიორი: ეთერი გოგია

24.04.2026 წ

ფინანსური ანგარიში

ავტორიზებული პირის „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობის (“სდასუ-TV”-სა და “სდასუ-RADIO“-ს) დაფინანსების წყაროს შესახებ

„საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობას (“სდასუ-TV”-სა და “სდასუ-RADIO“-ს) 2025 წლის განმავლობაში თავისი საქმიანობიდან შემოსავალი არ მიუღია, მისი დაფინანსების წყაროა უნივერსიტეტის საგანამანათებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობა (“სდასუ-TV”-სა და “სდასუ-RADIO“-ს) 2025 წელს უნივერსიტეტიდან დაფინანსდა ფულადი სახით 26 408,68 ლარით, არაფულადი სახით 27 997,48 ლარით,

ხარჯთაღრიცხვა და დანახარჯები

ხარჯთაღრიცხვა შედგენილია წინა წლის ფაქტიური დანახარჯების შესაბამისად, 2025 წელს ფაქტიურმა დანახარჯებმა შეადგინა 54 406,16 ლარი.

მუხლების დასახელება	**2025 წელი**
ხელფასი	18 000
ძირითადი საშუალებების ცვეთა	27997,48
ქონების გადასახადი	4733,68
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	500
რეგულირების ყოველწლიური გადასახადი	3175
სულ ხარჯი	54 406, 16

რექტორი: **მთ.ბუღალტერი**

ახსნა-განმარტებები ფინანსური ანგარიშის შესახებ

შესავალი

ავტორიზებული პირის „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობა საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს საუნივერსიტეტო მაუწყებლობას, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების, სწავლების, სამეცნიერო კვლევებისა და უმაღლესი განათლების სტიმულირებას.
ავტორიზებული პირის „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობის ფინანსური ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საზოგადოება აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიში მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ შპს „სდასუ“ს სტრუქტურული ერთეული საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობა (“სდასუ-TV”-სა და “სდასუ-RADIO“-არის ფუნქციონირებადი და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია.

ფინანსურ ანგარიშში სამართლიანად არის წარმოდგენილი ინფორმაცია მაუწყებლობის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ, ყველა ეკონომიკური მოვლენა წარმოდგენილია შეფასებისა და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებთ.

საანგარიშგებო პერიოდი

ფინანსური ანგარიშის საანგარიშო პერიოდია 2025 კალენდარული წელი.

ზოგადი ინფორმაცია:

„საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი “ შემდგომში „სდასუ“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რეგისტრირებულია ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ 1996 წლის 20 აგვისტოს , რეგისტრაციის ნომერია 5/4-718, საზოგადოების იურიდიული მისამართი და საქმიანაობის ძირითადი ადგილი ადგილია ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი 25, საზოგადოების 20 პროცენტიანი წილის მესაკუთრე და ხელმძღვანელია თეიმურაზ სართანია (პ/ნ 01024075246). პარტნიორები: თეიმურაზ ქორიძე(პ/ნ 01024004107)- წილის 60 პროცენტი, გიორგი სართანია(პ/ნ 0124075293)-წილის 20 პროცენტი, საზოგადოების ძირითადი საქმიანობაა საგანმანათებლო მომსახურების მიწოდება.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობა (“სდასუ-TV”-სა და “სდასუ-RADIO“-ს) რეგისტრირებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ავტორიზებულ პირად 2013 წლის 1 ოქტომბრიდან. იგი საქმიანობას ახორციელებს „ უმაღლესი განათლების შესახებ“ და „მაუწყებლის შესახებ“
საქართველოს კანონების შესაბამისად და წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

“სდასუ-TV” და “სდასუ-RADIO“ განთავსებულია საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხულ შენობაში და უკავია 467,40 კვადრატული მეტრი ფართი.

„სდასუ“ მიზნებია:

ჩამოყალიბდეს ლიდერ საერთაშორისო სტანდარტების მქონე საგანმანათებლო და სამეცნიერო კერად, გარანტირებული მაღალხარისხოვანი საგანმანათებლო მომსახურების შეთავაზება, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება, სტუდენტებზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა, უნივერსიტეტის პერსონალის კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა. ხოლო საუნივერსიტეტო მაუწყებლობის მიზანია სწავლებისათვის ხელის შეწყობა და განათლების სტიმულირება.

ამოცანებია:

მაღალკონკურენტიანი, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ერთიან ევროპულ საგანმანათებლო სივრცეში ინტეგრაციას. თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მომზადება, ეროვნული ტრადიციებისა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგული სპეციალისტების ახალი თაობების აღზრდა,

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით, ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკითა და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს საზოგადოებასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს.

„სდასუ“ თავის ოპერაციებში ფუნქციონირებად ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე, მოცემული ფინანსური ანგარიშისათვის შეფასების ვალუტად საზოგადოება იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილა ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების, დებიტორული დავალიანებების, ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო ხარჯები, ფინანსური ინსტრუმენტების ბალანსში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოება გახდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტების ნაწილის აღიარება წყდება მაშინ, როდესაც საზოგადოება კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს, ან დაფარავს ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

ძირითადი და არამატერიალური აქტივები

ნაყიდი და ნაწარმოები ძირითადი საშუალებების შემოსავალში აღება და შეფასება ხდება თვითღირებულებით: რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, დაბრუნებად გადასახადებს, ადგილამდე ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

შემოსავლები და ხარჯები

„საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობას ("სდასუ-TV"-სა და "სდასუ-RADIO"-ს 2025 წლის განმავლობაში თავისი საქმიანობიდან შემოსავალი არ მიუღია.

ხარჯები ანგარიშში ასახულია ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებით (პირვადელი ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი).ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შენდეგი წლიური განაკვეთები

შენობა-ნაგებობები	5	პროცენტი
ინვენტარი	20	პროცენტი

დებიტორები და სხვა მოთხოვნები

დებიტორული დავალიანებები სტრუქტურული ერთეულის მიხედვით არ ირიცხება

ვალდებულებები და სხვა კრედიტორები

ვალდებულებები სტრუქტურული ერთეულის მიხედვით არ ირიცხება,

გადასახადების აღრიცხვა და დეკლარირება

საშემოსავლო გადასახადი

„საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის მიხედვით გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემები;

„საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მაუწყებლობის სტრუქტურული ერთეულის მიერ ხელფასისა და მასთან გათანაბრებული განაცემების სახით სულ საანგარიშო წლის განმავლობაში დეკლარირებულია 18 000 ლარი. შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი ბიუჯეტში გადახდილია

ქონების გადასახადი

„საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“ საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობის (“სდასუ-TV”-სა და “სდასუ-RADIO“-ს) სახით, როგორც სტრუქტურული ერთეული არის ქონების გადასახადის გადამხდელი.

ქონების გადასახადით 2025 წელს დაბეგრილია მაუწყებლობის მიერ გამოყენებული ძირითადი საშუალებები, ასევე პროპორციულად შენობის ის ფართი, სადაც განთავსებულია მაუწყებლობა.

დირექტორი: მთ. ბუღალტერი: